საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1693/01
13/02/2020

1693-01-2-202002131318

შპს „ჯორჯია მეტალს“
მის: ზესტაფონი, სოფ. არგვეთა

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2019 წლის 24 დეკემბრის N18903 სკოპინგის განცხადება, რომელიც ეხება ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფ. არგვეთაში შპს „ჯორჯია მეტალის“ მეტალურგიული საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტს.

გაცნობებთ, რომ ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სამინისტროში დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით წარმოდგენილ იქნა არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივას“ წერილობითი შენიშვნები (იხ. დანართი). ასევე წარმოების ეტაპზე, 2020 წლის 31 იანვარს N1542 წერილით სამინისტროში აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით წარმოდგენილ იქნა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის, სოფ. არგვეთას მოსახლეობის განცხადება. აღნიშნულ განცხადებაში მოსახლეობა სოფელში არსებული ანალოგიური ტიპის საწარმოს საქმიანობის და დაგეგმილი საქმიანობის შედეგად გამოწვეული კუმულაციური ზემოქმედებიდან გამომდინარე და ატმოსფერული ჰაერის არსებული ფონური მდგომარეობის შესაძლო გაუარესების გამო ითხოვს სამინისტროს მხრიდან შესაბამის რეაგირებას. გთხოვთ, განიხილოთ სოფ. არგვეთას მოსახლეობის მიერ დასმული საკითხი და სამინისტროში წარმოადგინოთ შესაბამისი დასაბუთება.

წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს განთავსების ტერიტორიის შერჩევის დროს გათვალისწინებული იქნა შემდეგი კრიტერიუმები: 1. მიწის კატეგორია; 2. მდებარეობა (ზონა); 3. დასახლებულ პუნქტთან დაშორება; 4. არსებული ინფრასტრუქტურა. თუმცა, გარდა შერჩეული ალტერნატივისა, სხვა არცერთი განხილული ალტერნატივის შემთხვევაში არ არის ნაჩვენები რამდენია დაშორება უახლოესი საცხოვრებელი სახლიდან. შესაბამისად, განახლებულ სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ამასთან, განახლებულ სკოპინგის დოკუმენტაციაში, მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ყველა გონივრული ალტერნატივის შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით.

ასევე გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეიცავს რიგ ხარვეზებს, კერძოდ:

- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი მოსახლე დაშორებულია 40 მეტრით, საპროექტო მეტალურგიული საწარმოს გაფრქვევის მილიდან 435 მეტრით, ხოლო გამახურებელი ღუმელის გაფრქვევის მილიდან 330 მეტრით. სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს გაფრქვევის წყაროების ადგილმდებარეობა GPS კოორდინატების მითითებით. სკოპინგის ანგარიშში ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს საწარმოს ძირითადი ტექნოლოგიური უბნების/ობიექტების (ტექნოლოგიური პროცესების აღწერით) და შესაბამისი ინფრასტრუქტურის დაშორება უახლოეს მოსახლესთან;
- ვინაიდან საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის ძირითადი წყარო იქნება ჯართის მიღება-ჩამოცლა, სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ხმაურის გავრცელების შესამცირებლად განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ. ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს ჯართის განთავსების ობიექტიდან უახლოეს მოსახლემდე მანძილი და მისი ადგილმდებარეობა, GPS კოორდინატების მითითებით.
- სკოპინგის ანგარიშში, ადამიანთა ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე ზემოქმედების პრევენციის ღონისძიებები წარმოდგენილია ძირითადად საწარმოში მომუშავე პერსონალისთვის. სკოპინგის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად ადამიანთა ჯანმრთელობასა და სოციალურ გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შესახებ;
- „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის თანახმად“ სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ზოგადი ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომელიც გათვალისწინებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის, ან შერბილებისათვის.

გაცნობებთ, რომ სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც შპს „ჯორჯია მეტალი“ უზრუნველყოფს განახლებული სკოპინგის დოკუმენტაციის წარმოდგენას, ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით.

დანართის სახით გიგზავნით ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. არგვეთას მოსახლეობის ერთობლივ განცხადებას და არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივას“ წერილობით შენიშვნებს.

დანართი: ტექსტის თანახმად.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე